

გაზეთის ფასი:

გაზეთით თუილისში და გარეშე ადგილებში: მართის წლისა — 7 მან. ნახევრის წლისა — 4 — 3 — 50 კ. სამის თვისა — 2 — 50 კ. 2 — 50 კ. (ალექსანდრის ნუმრისა გაუზავნელათ—3 შაური. „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

საპოლიტიკო და სალიბერატურო გაზეთი.

თუილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეზუხოვის სახლში. თუილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“. რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასოებით გაზეთის სტრუქტურაზედ 8 კაპ.

ბ ე ლ ე ბ რ ა მ მ მ ბ ი,

თუილისში მიღებული.

პეტერბურში, 5 დეკემბერს. პარიზის, ლონდონის და შლორენციის კაბინეტებმა გამოაცხადეს დოკუმენტები სხვა-და-სხვა საქმის შესახებ, რომელიც ეკუთვნის საზოგადო პოლიტიკას. რუსეთის სამინისტრომ აგრეთვე გამოაცხადა იმპერატორის კაბინეტის დოკუმენტები, რომელნიც არიან დაბეჭდილნი გაზეთ-ში Journal de S.-Peterburg. „იტალიის კორესპონდენცია“ ამბობს, რომ გენერალი მე-ნაბრეა ითხოვს, რომ რუს სიტყვები იტალიის შესახებ წარმოთქმული პარიჟში განმარ-

ტონო. მინამ შრანციის კაბინეტის განზრახვა იმას ნამდვილათ არ ეცოდინება რომის საქმის დაბოლოების შესახებ ნაპოლეონის განზრახვა, თავის მოსასწრებას ვერ წარადგენს.

უფალ რედაქტორ!

ამასთანავე მომირთმევია ერთი ჩემის მეგობრისგან მოწერილი წიგნი; და, თუ მართლა, როგორც იმ წიგნში ჰქვია, თუილისის თავდაზნაურობა საზოგადო და სახალხო მნიშვნელობას აძლევს თავის ბანკსა, ღმერთმა კარგი მოგცეს, — კარგი ეგ იყო. რადგანაც თქვენს გაზეთში ბანკის თაობაზედ ამ უკანასკნელ დროში აღარა თქმულა რა და ჩვენმა საზოგადოებამ არ იცის, რა მდგომარეობაშია ეს ჩვენა ფრიალ სასარგებლო და გამოსადეგი საქმე, გთხოვ თუ შესაძლოა პოვებდეთ, ამ ბარათს თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ.

იქნება კიდევაც გამოწერეს ჩემი ძვირფასი მეგობარი ბ. ზუგდიდელი, რომ მის ნება დაურთველათ მის მიერ მოწერილს შინაურს ბარათს საქვეყნოთა ეხდი; მაგრამ ამას ორის მიზეზისა გამო ვშვრებ: ერთი მისთვის, რომ მან აღასრულოს მის მიერ მოწერილი ბარათი და დაწერილებით მომწეროს ყოველივე, რაიცა კი შეეხება ბანკის დაწესებას და მეორე მისთვისა, რომ მე მეგონა, ამ გვარი ამბები ყველას ისე სწყურია, როგორც მე.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე

იოსებ ბანძელი.

ძვირფასო ძმაო,

იოსებ!

მე შენთან დიდი დანაშაული ვარ, რომ ამდენი ხანი შემდგომ, შენის მოშორებისა წიგნი ვერ მოგწერე; თუმცა გამოთხოვების დროს ჩვენ შორის დადებული პირობის ძალით, ხშირი მიწერ-მოწერა უნდა გეცნოდა ერთმანეთში. შენ იმართლებ თავს მით, რომ ჩემი ადრესი არ იცოდ; მაგრამ მე კი სათქმელი არა მაქვს რა, გარდა ბოდიშის მოთხოვნისა და ვიმედოვნებ, რომ მომიტყეობ.

მე მანდღან წამოსული თითქმის ორი თვეა თუილისში ვარ; ახლის ამბებზე თავს ვერ შეგაწყენ, რადგან ჩემს აქ ყოფობაში შესანიშნავი არა ყოფილა რა. ბატურს მშვენიერს ამინდზედ, ან თეატრის განცხრომაზედ მე რაღა მოგწერო გარდა მისა, რასაც თვითონ არა ჰსცნობდი გაზეთებდგან.

დიდის ხნით შენთან მყოფობით, შენი აზრი და მიდრეკილება ცოტაოდნით გავლენა მაქვს და ვიცი, რომ ყოველივე სასარგებლო საგნები შენ ღიდათ გახარებს. ამის მიხედვით მე გწერ, რადგანსავე სიტყვას შესახებ ბანკის წესდების შედგენისა, თუილისის კეთილშობილთ საზოგადოების დანიშნულის კამიტეტისაგან; მაგრამ სანამ კამიტეტის მოქმედებაზე გეტყუდე რასმე, ერთს ამბავს გიამბობ იმავე ბანკის თაობაზე.

შენც კარგათ იცი, რომ ბალაიის პროსპექტი თუილისში ირისება უპირველესს ქუჩათა და მართლაც პირველია. შოველნი აქაური საზოგადოებთაგანი, ვისაც კი გავლამაოვდა ან გასეირნება მოუწებდა, იმას გა-

დსაც ზამთრის მზეს უმეტესი სიციხვლე აქვს და ნამდვილად სასახლის წინ ორკესტრი გამოვა და უკრავს, აქ ნახავ უკანასკნელს მოღაზე ჩაცმულს ქალსა და კაცსა, არეულს ქართულს, ჩერქეზულს და სპარსულს ტანისამოსიანებში. მართს დროს მეც გამოვედი ბალაიის პროსპექტზე და დავეჭექი სკამზე; სადაც ერთი ჩემი შორი — ახლო ნაცნობი ყმაწვილი კაცი იჯდა. ცოტა ხანს უკან ჩვენს სი-ახლოვეს გაჩერდნენ ორნი მოსეირნეთაგანი: ერთი გენერლის პაგონებითა და მეორე ყმაწვილი კაცი, ისიც სამხედრო მუნდრიტო. შემდგომ მისალმებისა გენერალმა ჰკითხა ყმაწვილს მხედარს: — Ну, князь, какъ идуть дѣла вашего банка? მან უპასუხა: „Какой тамъ банкъ, — напрасная трата времени; иллюзія и больше ничего!“. „მერე განაგრძო მანვე ქართულათ: „ტყუილი ნათქვამი კი არ არის, რაც არ ექნას პაპაშენსაო, ნურც შენ დახვე ფარფაშებსაო; მანკი ჩვენ მამა-პაპას თავის ღღეში არა ჰქონიათ და არც იცოდნენ, რა იყო; მაგრამ თავისი დრო კარგათ გაატარეს. ასე ჰგონით ზოგიერთებს, აქ მეგობრა იყოს. ამ გვარი საქმეები შეუძლებელია ჩვენ ქვეყანაში“. მს პასუხი, როგორც შევნიშნე, გენერლის პაგონებისა არ მოეწონა, გამოესალმა ყმაწვილ მხედარს და წავიდა. ჩემთან მჯდომმა ყმაწვილმა კაცმა ეს გაიგონა თუარა, მომიბრუნდა და მითხრა: „მაი ჩემს უბედურებას, თუ იმ ყმაწვილს მხედარსაც ვითარიმე მონაწილეობა აქვს სახალხო ბანკის დაწესებაში; მაშინ შენც უნდა საქართველო! დიან, შენი მამები საუცხოველთ ატარებდნენ დროებას; ას თუმანს ისტეხებდნენ, ორასის თუმანს ეასხნენთი წერილის (ექსილის) მისცემდნენ და ღმერთმა იცის, რა სარგებელს დაუწერდნენ. იმ ას თუმანსაც ქალაქში ფაქტონები, თეატრი, რესტორანები და ღვინის საღებავები გამოალალებდნენ და კნიაზი ცარიელი შინ წაბანდებოდა, მაგრამ მოვალე ხომ თავისას არ დაჰკარგავდა. პირობის ძალით კნიაზს თვითონ უნდა მოეტანა ფული მოვალისათვის ეადებ; მაგრამ რა შეატყვას მიუტანს, ვისთვისაც მუცია ის უკან აღარ დაუბრუნებს და სხვაგან, რა უმეზგინა და რას მოამკის. რა გაწყობა: მთა არ მოვიდა მაჰმადთან, თვითონ მაჰმადი მიდის მთასთან. ძნიაზმა არ მოუტანა მოვალეს ვადაზე ფული, თვითონ მოვალე მიდის კნიაზთან; წარმოიდგინე, თუ როგორ იამება კნიაზს მოვალის ნახვა; მაგრამ კაცს, რომელსაც ერთხელ მისთვის ხელი გაუმართავს, კარში ხომ ვერ გააგდებს; უნდა ღიმილით მიიღოს და შემდგომ მოკლე მუსაფისა, მოვალე უკანასკნელს სიტყვას ეტყვის: — კნიაზგან! ან ჩემი ფული თანა საზოგადოებრივად მიბოძეთ, ან ექსილს პერემენათ ეტყუათ. პირველი წინადადების აღსრულება ხომ არ შეუძლია, ისევე მეორეზე უნდა ეთანხმოს და შემდგომ რამოდენჯერმე ამ გვარის თანახმობისა ენახეთ, რომ რომელსავე სასამართლოში იძახიან: ამა და ამ კნიაზის მამული იყიდება; ძტო ბოლშე! ამ გვართ ატარებდნენ იმათი მამები დროებას და თვითონაც იმ უფალს ისე უნდა განაგრძობს.“

## განცხადება

გაზეთის „დროების“ გამომცემი

1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მს ორი წელია, რაც გაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძნობას არ აკლებს; მხოლოდ ის ენაზე ცოტაოდნით დრტინდა: თუ გამოგეროდა იმერული ლექსთა-თხზვა, ეს ქართლებს ენათირებოდათ და თუ ქართული ლექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ენათირებოდათ. ამისთანა მოვლენა ცხადია ამტკიცებს იმას, რომ საზოგადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა. რადგან იმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საქიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადოების დრტინება მხოლოდ დრო განაქარებს. „დროების“ ნაკლულევენებას კი არა, უფრო სხვა იყო. ის ვერ აქცევდა ჯეროვანს ყურადღებას ცხოვრებისგან მოტირის მრავალს გვარს ცვლილებებსა და საქმეებს; და როგორც რიგია, იმდენათ ვერ ჰხსნა, ვერ აფასებდა იმათს მნიშვნელობას. მართის სიტყვით, იმას არა ჰქონდა დღიური ინტერესი. აი რა იყო უმთავრესი ნაკლულევენება „დროებისა“.

ჩვენმა ცხოვრებამ უფრო ჩქარი წინ მსვლელობა დაიწყო: ამ სამის წლის განმავლობაში ბატონ-ყმობით დამოკიდებულება გაუქმდა, სასოფლო სასამართლოები დააბნდნენ, და სამსჯავრო ცვლილებაც, ეს არის, კარზე მოგედგომია და კარგი სამართლის შემოტანით უნდა დაგვირგენოს ბატონ-ყმობის გაუქმება. ამას გარდა ამ უკანასკნელს წლებში მთავრობამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ხალხის განათლებას, დაარსდა სასოფლო შკოლები, რომელიც სდებს საფუძველს ხალხის განათლებისას. ამ უმთავრეს ცვლილებებს ბევრი სხვა ახალი საქმეებიც თან მოსდევნ. შოველს იმათგან თავისი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. შეველა ეს დიდა და მომცრო ცვლილებები ადრე თუ გვიან სრულად შესცვლიან ჩვენის ცხოვრების სახეს. მაშასადამე ყოველს ახლად მოვლენილს ამისთანა საქმეს უნდა ახსნა, გაჩხრეკა, იმისი კარგისა და ცუდის მხარის ჩვენება. ბაზეთიც რასაკვირველია, განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საინტერესო საზოგადოებისთვის, როდესაც ცხოვრების ყოველ-გვარის მოვლინების რიგინათ გარკვევას შეუდგება თავ-თავის დროზე. ამ მოვალეობის გრცლად ასრულება ჩვენ გაზეთს ჯერ კიდევ არ შეუძლიან, მაგრამ რედაქცია მაინც, შეძლებისა მებრ, ეცდება ამ გზით მოქმედებას. ამასთანავე უნდა გამოვეცხადოთ „დროების“ მკითხველებს, რომ მომავალს წელს „დროებაში“ შემოვა სამსჯავრო ნაწილი; სადაც ყოველი გვარი სამსაჯულო ცნობები იქნება დაბეჭდილი.

ხელმოწერა ფასი:

გაზეთით თუილისში და გარეშე ადგილებში: ერთის წლისა — 7 მანეთი — 6 მან. ნახევრის წლისა — 4 — 3 — 50 კა. სამის თვისა — 2 — 50 კ. 2 — 50 კ.

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევობით.

ხელი მოიწერება:

თუილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეზუხოვის სახლში.

თუილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: Вь Тифлисъ. Вь Контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.



მიამა, მაგრამ რა მექნა; თუ მართლა ჩვენში ბანკის დაწესება, როგორც ყმაწვილმა მხედარმა ბრძანა, არის იმის სწორე საწყენი იყო. ამ შემთხვევაში აღძრა ჩემში ძიების მოყვარება და შეუდექი დაწვრილებით გაგებას, თუ რა მდგომარეობაში არის ჩვენი ბანკი, მემინდა კი, ვაი თუ მართლა ილღუზია იყოს მეთქი.

ამიტომ იყრება ხოლმე დეპუტატთა-სობრანიაში საღამოს შეიღ საათზე. აქ გუბერნიის მარშალი კითხულობს მის მიერ შედგენილ ბანკის წესდებულების პროექტს. ამ პროექტით თუმცა ბანკს ეძლეოდა საზოგადო მნიშვნელობა, მაგრამ იმაში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ თავდაზნაურონი. უფალმა პროექტის შემადგენელმა, თუმცა რამოდენჯერმე კერძოთ წარმოსთქვა, რომ ამ გვარის მიდრეკილებით ბანკს არ მიეწერება საზოგადო მნიშვნელობა, რადგან მაშიდ მონაწილეობას იღებენ მხოლოდ თავდაზნაურონი და გლეხნი კი გამოირიცხებიან არიან; მაგრამ ეს კითხვა უხმოთ იქნა დარჩენილი, რადგან მხედველობაში არ ჰქონდათ საშუალება, რომლის ძალითაც შესაძლო იყოს გლეხებიც ბანკის მონაწილენი გამხდარიყვნენ.

უფლის რაოდენობა, რომელზედაც ბანკი უნდა დაფუძნდეს, შეაგროვეს კეთილშობილთ საზოგადოებამ; მაშა საღამე გლეხებს, რომელთაც არ მიუღია ამ მსხვერპლში არა ვითარის მონაწილეობა, არა აქვთ უფლება ისარგებლონ ამნაირათ დაწესებულის ბანკიდან;—აი როგორა სჯიდნენ უმეტესი წევრნი კომიტეტისა. აქედან ჰსჩანდა, რომ თუმცა ბანკს უწოდებდნენ საზოგადო ბანკად, მაგრამ საქმით კი კერძოობით, მხოლოდ საკეთილშობილო იყო. ჩვენ, ჩემო ძვირფასო იოსებ, ბევრი გვიკითხავს და უმეტესი გავიგონა; ნამეტურ ამ უკანასკნელს დროში, რომ ყოველს მსჯელობაში ხმოვნება კარგი არისო და როგორც ეხლა მე საქმით ენახე ხმოვანება ძვირფასი რომ ყოფილა. რომ საზოგადო მსჯელობა არ ყოფილიყო, საწყალი გლეხები, ჩვენი უმცროსი ძმები, ბანკის სარგებლობიდან ირიცხებოდნენ. ამიტომაც მსჯელობა ჰქონდა სახალხოთ, ესე იგი გარეშე პირებსაც შეეძლოთ შესულიყვნენ შესაკრებელ ზღაპრში და მოესმინათ, რასაც ექ ამბობდნენ. ამის ძალით ყოველს ყრილობის დროს რამოდენიმე გარეშე პირნი იყვნენ ხოლმე. მართა მტკანმა, ყმაწვილმა არტილერიის აფიცრმა (\*) შენიშნა რა, რომ გლეხები ირიცხებიან ბანკის მონაწილეობიდან, მხოლოდ მისთვის, რომ იმათ არა ვითარი მსხვერპლი არ გაუღიათ ბანკის დადგენებისათვის, წარუდგინა უფალს ლუბერნიის მარშალს ჰაზრი, რომლითაც ჯერ დაუმტკიცა, რომ ბანკს არ ექნება საზოგადო ხასიათი ანუ მნიშვნელობა, თუ გლეხებმაც არ მიიღეს იმაში მონაწილეობა და მასთან მის მიერ მოგონილი საშუალება, რომლის ძალითაც შესაძლო არს გლეხებიც გახდნენ თანასწორი მონაწილენი ბანკში. ეს აზრი არის ცხად ფაქტზედ დაფუძნებული, რომელიც, ჩემო ძვირფასო იოსებ, მე და შენ კარგათ ვიცით. ის ყმაწვილი კაცი ამბობს: მალე იქნება თუ გვიან, გლეხებიც მიწის მფლობელები შეიქმნებიანო, მაშასადამე ისინიც შეიძლება გიარაბის მოხერხებასაო. მსეც ხომ ვიცით, რომ უმცირესი სარგებელი, რომელსაც აქამდინ კერძო პირებს აძლევდნენ ნასესხებს ფულში, არის ასევე ოცდა ოთხი, ანუ თუმანზე თვეში ერთი აბაზი. ჩვენი ბანკი, სულ ბევრი ესთქვით, ასევე ექვს გამომართმევს იმას, ვისაც მონაწილეობა მიუღია ბანკის დაწესებაში;—რადგან გლეხებს არ მიუღია არა ვითარი მონაწილეობა, მათ ასევე ექვსის მაგიერათ ათი პროცენტი განეწესოს; ექვსი ბანკის სასარგებლოთ, ხოლო დანარჩენი ოთხი

გადიდვას ცალკე და როდესაც ამ ნაირათ შეგროვებულმა ფულმა მიწის იმდენს რაოდენობაზე, რამდენიც კეთილშობილთ საზოგადოებამ გამოიღო, მაშინ ეს ფული შეერთდეს ბანკის საფუძვლის ფულთან და იმ დროდგან გლეხებიც თანასწორი მონაწილენი შეიქმნენ.

აქედან წარმოსდგება ორნაირი სარგებლობა: ერთი რომ, რაც ბანკს უფარდესი მოქმედება ექნება, უფრო დიდი სარგებლობა შემოუვა, მეორე რომ ყველას ექნება ამ ქვეყანაში საშუალება გაამწეინეროს თავისი მდგომარეობა და ამ ორს ნივთიერს სარგებლობას გარდა აქედან წარმოსდგება კაცთ-მოყვარება და ეს უკანასკნელი თვისება, ეალათ ადევს ყოველს კაცსა.

ეს ჰაზრი ლუბერნიის მარშალმა წარუდგინა კომიტეტს, და ამასთან დასძინა: პირველათ რომ სახალხო ბანკის გახსნა გამოეცხადებო, რუსეთის გაზრთებმა აღტაცებით მიიღეს ეს ჰაზრი და თუ ჩვენი დანაბრებია, რომ არ აეასრულოთ, არ ევარგებო.

მე მეგონა ყოველი კაცი, ნამეტურ-ახლანდელის დროების ჰაზრისა იტყოდა ამაზე უკეთესი რაღა იქნებო; მაგრამ ჩემდა საუბედუროთ, აქი შეეცდი! წამოდგა ამ დროს ოცი ან ოცდა ხუთის წლის ყმაწვილი კაცი, სახით და მისხრა-მოხერხით ეთომც ახლანდელის დროის ჰაზრების თანამგონებელი და დაიწყო გძელი სიტყვა, რომლითაც ეთომც ამტკიცებდა არტილერიის აფიცრისაგან შეტანილის ჰაზრის უაღაგობას. მან სიტყვა, თუ გაზეთებს და ჟურნალებს რას დასდევო, რაც უნდა დასწერონო; ფული ჩვენ შეაგროვეთ, ჩვენვე უნდა ვისარგებლოთ, გლეხებს რაღაგი აქვთ, ჩვენს ბანკშიო. უკაცრავათ ბატონო! გლეხებმა რომ ბანკიდან ფულები ისესხონ და მით ბანკს სარგებლობა უზენონ, ნუ უკე ამითი ჩვენ დაგვაკლდება რამე? მე დიდათ გამოვივრდა ყმაწვილის მხედრის ჰაზრი გაზეთებში და ჟურნალებში რაც უნდა დასწერონო, მერას დასდევო. როგორც სჩანდა ის არა ვითარს მნიშვნელობას არ აძლევდა საზოგადო მსჯელობას.

ჩვენი ორატორი სუსტი მჭევრმეტყველი გამოჩნდა და ევლარ დაიცა თავისი აზრი.

მეორეც არეცი, ვინ იყო (მასხოვს, სამოქალაქო ტანისამოსი ეცა) წარმოდგა და ეთომც ექვი ჰქონდა მის ჰაზრის სისრულეში მოყვანის; ამბობდა, თუ გლეხები ბანკიდან ფულს რათ ისესხებნო. მას უბასთეს: საშუალის რიცხვით ყოველს გლეხებს ქართლში არასი მანეთი და კანტონში ქუთაისი მართებსო, არა ოცდა ოთხის პროცენტის ნაკლებ; მაშასადამე შენ თუ თოთხმეტს პროცენტს აპტივებო და ათათ მისცემ, რატომ ვინც კი გირაოს მოიხერხებს, იმავე წაში არ შეისხნის ცხლანდელს ეალსა? ამ ფიქრების დარღვევა მოინდომა ჩვენმა მეორე ორატორმა მაგრამ ისეთ რიგათ დაურღვიეს იმისი აზრი რომ მალე გაჩუმდა, თუმცა არ დათანხმებია. ორიც კიდე სხვა შეიქნენ თანაგრძნობელი ახლგაზდა მხედრისა და ჯიბრიანის მეორე ორატორისა; მაგრამ რა მიზეზისათვის, იმათ არაფერი არა უთქვამთ რა და ჩვენ ძალიან დაუბადოთ სიუჟისათვის.

ასე ჩემო იოსებ, რადგან ოთხის წევრის უთანხმოება დანარჩენის თერთმეტ-თანხმოსთან პრაფერს შეადგენდა არტილერიის აფიცრის მშვენიერი ჰაზრი მიღებულ იქნა ბანკის წესდებულებაში. ეს ამბავი მოხდა 4 დეკემბერს.

მხლა მეტს ვერაფერსა გწერ ჩემო იოსებ და შემდგომ კიდევ გამოგელაპარაკები ამ ბანკის თაობაზე როცა წესდებულება დამტკიცდება.

ამას კი გეტყვი: რა კარგი და სასარგებლო იქნება, რომ ჩვენი მუთისის ბანკი და ტფილისისა შეერთდებოდეს. მე არვიცი რა დაუშლის თუ ურთი-ერთი თანხმობა იქნება; პატარა ხანს უკან რკინის გზა ძალაქსა და მუ-

თაის ერთმანეთს გადაბამს და ორპირიდან ქალაქში ჩამოსვლა უფრო ადვილი იქნება, ვინემ შენის ბანკიდან ბორდს ან ზუგდიდს გასვლა. ორთავ საზოგადოებას ბანკი იმისათვის გვიანდა, რომ იქიდან რაც სარგებლობა წარმოსდგება, განათლებას მოეხმარათ. შეერთებულს ბანკს ორის მაგიერათ ერთი გამგეობა ორნაირის ფულის ნიშნების (აქციების) მაგიერათ, მაშინ მხოლოდ ერთნაირი იქნება და ეს ფრიად გაადვილებს ყოველს ბანკის მოქმედებას და ხარჯს შეამოკლებს, მაშინ ბანკს შეეძლება თავისი ოპერაციები ერთი სამათ გაუარყოფოს.

ამასაც ვიფიქრებ, რომ გარეშე ქვეყნებში შეერთებულის ბანკის ბილეთებს უმეტესი ფასი ექნება.

იქნება ჩვენმა საზოგადოებამ ესა სთქვას: ბანკი რომ შეერთდეს და ბანა ქალაქში ექნეს ტფილისის საზოგადოება უმეტეს ისარგებლებსო. არა, ამისთვის, რომ ერთი ბანკის ნაწილი (отрешение) მანდ იქნება და მეორე აქ; მხოლოდ ბანკს ერთი განგეობა ექნება და ერთნაირს ბილეთებს გამოსცემს. შეგაწუხებ იოსებ ამოდენის ლაყბობით; მე ისე მომივიდა, როგორც ნათქვამი არის: ქაჩლამა თავი ჯერ არ მოიფხანაო და როცა მოიფხანა, სულ მოიგლიჯაო. მშობები შენი ერთგული მოსამსახურე ბიგო ზუგდიდელი.

P. S. როცა ეს წიგნი დაგეპტედ და დავაბირე ფოჩტაში გაგზავნა, იმ დროს ახლგაზდა კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ დღეს უკანასკნელი ყრილობა აქესობანკის დაწესების კომიტეტსა; ამისათვის მე ვიფიქრე: წავალ ამ ყრილობას ვუყურებ და მერმე მე თვითონ გამოვივლი ფოჩტაში მეთქი. ღღევანდელმა კომიტეტის მსჯელობამ სულ სხვა ნაირი ხასიათი მიიღო; დღეს მოვიდნენ ის წევრებიც, რომელნიც წასულს ყრილობაში არა ყოფილან;—ისინი იმ აზრზედ დადგნენ, რომ გლეხებს ბანკში მონაწილეობა არ უნდა ჰქონდესო და ეს მშვენიერი კაცთმოყვარებითი მიდრეკილება არ იქნა შეტანილი ბანკის (ცხლანდელს ყრილობაში, თერთმეტი თანხმა შეიქნა, ხოლო ცხრა არ ეთანხმა) წესდებულებაში და დარჩა ბაღუწყევტლად. შევლანი გარეშე მაყურებელნი პირნი თანამგრობელები არტილერიის აფიცრის აზრისა შეწუხდნენ, მაგრამ რა ექნათ. ღვთით ჯერ სული არ უნდა დასწმინდოს კაცმა იმედი; ჯერ უსტავისათვის არ მოუწერიათ ხელი და მანამდისინ იქნება მოიფიქრონ და დადგნენ იმ გზაზე, რომელიც ჩვენის საზოგადოებისთვის უფრო სასარგებლო არის.

10 დეკემბერს

1867 წელსა.

## წარსული და მიმავალი ინგილოების

### სხობრება.

ჩვენ ნამბობილამ ცხლათ მოჩანს, რომ ინგილოები მდიდარი არიან. ფულით ხელნაკლებნი, როგორც ქარელი და მუღელი, ამათშიაც რასაკვირვლია ბევრნი იპოვებიან; მაგრამ შედარებით რომ ესთქვათ, ესენი სჯობიან ამათ ოარიეს. მართლაც, მას სიმდიდრით ვერც ქარელი ლეკი, ვერც მუღელი, ვერა სჯობია. მე ამაში ექვი არაოდეს არა მქონია. მაგრამ რადგან ზოგნი ერთნი მოაზრობენ, რომ ეთომც ინგილო ცხოვრებით ამ მოხსენებულს ხალხსა არამც თუ ვერა სჯობდეს, არამედ ნაკლებიც იყოს იმათზე, ამისათვის მე ეს ზაქათალის მაზრაში მცხოვრებ სომხებს ვითებ. ეს რასაკვირველია, იმათ უფრო კარგათ იციან, რადგან ამათა აქეთ მაზრაში აღებ-მიცემობა, და გაკირებულს ესენი უმართვენ ხელსა. რა მითხრეს მე იმათ? ისა, რომ ინგილოს ვერც ქარელი ლეკები, ვერც მუღალები ცხოვრებით ვერა სჯობიაო. ამის დასამტკიცებლათ მოიყვანეს ის ფაქტი, რომ მუღალებს და ლეკებს ბევრს მართებთ ინგი-

ლოს ვაღიო. მაგალითები თათრის მოქალაქის ლიჯის ზაგანში მცხოვრებელნი (ქივლი მართებსო; აგრეთვე მთელი სომხებისა) რხვიანს ინგილოების ეალები მართებსო. ეს სოფელი ინგილოს სოფელი არ არის, თუმცა ის მიღებულია ინგილოს სოფლების რიცხვში. აქ ცხოვრებს სომხის ტომი, როგორც ამბობს თვითონ ხალხი, როდესაც ინგილოები ინათლებოდნენ, ესენიც მოინათლნენ, მაგრამ სომხურათ. ინგილოები როცა მიიქცნენ, ესენიც თან მიიქცნენ. მხლა მუსტურმანნი არიან. მართა სომხმა კიდე მიპასუხა ჩემს კითხვაზე: „მთელ ზაქათალის მაზრაში ინგილოებსავეთ მდიდარი და ცხოვრებით გამწეინერებულნი არაფერ არ არისო. ამათ საკმელ-სასმელი უხვიერათა აქვსო.“ იქნება ეს გადიდებული იყოს, მაგრამ მაინც კიდევ ამ სიტყვებით გამოთქმულია მათი ჭარელ-ლეკების და მუღალების სიმდიდრესთან შედარებითი შემძლებლობა.


სად იშვენს ინგილოებმა ეს სიმდიდრე? როგორ მოხდა, რომ ისინი ლეკებს ხარჯს აძლევდნენ და კიდევაც აძლევდნენ და ამასთანავე იმათზე მდიდარიც არიან? დასაჯერია მათი სიმდიდრე? აქ გასაკვირი არაფერი არის: მათი სიმდიდრე დასაჯერია. აქვლამ ვიცით, რომ ქარელი ლეკები თითქმის ღალისტის დაქვრამდე და დამწეიდებამდე სამოქალაქო ცხოვრებით არა ცხოვრებდნენ. მათი ხელობა ამდენხანს ცარცვა მტაცებლობა იყო. ამ გეგარ ხელობით ესენი ცხოვრებდნენ და არა შრომით ჰკვიანურს ცხოვრებაში. იმათ ამდენხანს არ უმუშავიათ და სხვისთვის ხელში უტყვრიათ. ამა ახლა იფიქრე, მკითხველო, ხალხი, რომელიც არ მუშაობს, არ აწურებს ცხელს ოფლს მიწას, რომელიც ხალხის სიმდიდრეს შეადგენს, სხვისთვის ლუკმის წართმევით მდიდარი როგორ გახდება! ამა რათ იქმნება ის ხალხი მდიდარი, რომელიც სხვის მონაგროთ ცხოვრებს, თვითონ კი არაფერს აკეთებს; სამი თალარი სულადი, რომელსაც ინგილო ლეკს ხარჯათ აძლევდა, ამა იმით როგორ გამდიდრებოდა და გამდიდრებო!

სხვა არის ინგილოებისთვის სახსარი ცხოვრებისა. წყარო მათის სიმდიდრისა არის დაუდგრომელი შრომა. შრომით არიან ინგილოები მდიდარი. მათ უტყვრიათ იჯარით სახანეთის მიწები ქარელებისა, და მას ებრძვიან, რომ, რა არის, გამოუძახონ თავის ქვეყნის სიმდიდრის ძალას. ის თავის თავს გლეხს ეძახის და შრომის მეტს არაფერს დაეძებს. ინგილოს რომ უთხრა შეილი მიეცი სასწავლებელშიო, ის წამოგვიხებს: „ჩვენი საქმე მუშაობა არისო, და არა წიგნო, ჩვენ გლეხნი ვართო, ამისაგანო ჩვენ შეილებს ხემაფე უფროსობას არ მსცემსო.“ მაგრამ ამას ყველანი არ ამბობენ. მხლა უმეტესმა ნაწილმა აზრი შეიცვალა. აზრის შეცვლის მიზეზი ის არის, რომ მათ ნახეს ინგილო ზოგი აფიცრის ჩინით, ზოგი მღიღლათ, ზოგნი კიდე იუნკრათ. ამებმა დაარწმუნეს ისინი, რომ მთავრობა არ დაიშურებს მათ შეილებისათვის უფროსობას, თუ ისინი ისწავლიან. ამ მიზეზისაგან ეხლა ოცზე მეტი ყმაწვილი არის, მონათლული ინგილოების შეილები, რომელთაც ზაქათალის შკოლაში მსურთ შესვლა. ამათ მამებმა მეტრიკის და აცრის მოწმობები წარადგინეს, მაგრამ ჯერ მათი შეილები არ მიუღიათ, რომელსაც ძლიერ წუხან. თუ ეხლაც მათი შეილები არ შევიდნენ შკოლაში, იმათ ევრავინ ევლარ დაარწმუნებს, რომ მათ-

(\*) ამ კაცს, ნისიების გარდა, 48 აფასი მანეთი აქვს. ეს მე იქიდან ვიცი, რომ ექვს ძმაში ერთს, გაყრის შემდეგ, მოლისათვის ზაქათი (წილი: სასულიერო პირისათვის განწესებული) ღირს მანეთიდან ერთი მანეთი გაუღია და შემდგარა ოცი თუმანი ფული. მასადავმე თითოს, ექვს ძმაში, რგებია რვა რვა ათასი მანეთი და ექვსი რვა ათასი შეადგენს 48 ათას მანეთს ფულს. ავტორი.

(\*) ეს არტილერიის აფიცრი იყო მიხეილ ბაბრელის ძე მამაკაშვილი.





თვის კეთილი ჰსურთ; ვერაფერ ვეღარ დაარწმუნებს, რომ ინგილომ წიგნიც უნდა ასწავლოს, მიწაც შეიშუშოს. ინგილოს შეილება თუ ცხლა შკოლაში არ მიიღეს, ისინი არაოდეს აღარ დიშლიან თქმას: „წიგნის სწავლა ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ გვცხნი ვართ: ჩვენ მიწის შემოშუშებას უნდა ვცდილობდეთ და არა წიგნის სწავლას.“

მე ესტეკი, რომ ინგილო თავისი შრომით, ხენა-თესვით არის მდიდარი. ინგილო ცოტას სთესავს პურს, ქერს, ფეტვს და ჩაღთუსს, მაგრამ მიწის ნოყიერებისაგან მცოდნით მოსდის, და ამ სულადიდამ ის კიდევაც ჰყიდის, და ამდიდრებს თავის ოჯახს. მართს პერიოდულს რუსეთის ჟურნალში სწერენ: „იმ ქვეყანაში, რომელშიაც აღებ-მიცემობა და ხელოვნობა გავრცელებული არ არის, ხენა-თესვა შეადგენს უმთავრეს წყაროს ხალხის სიმდიდრისა. რასაც დასთეს იმას მოიმკი, — ძლიერ კარგათ არის ნათქვამი იმ ხალხზე, რომელსაც გაარხინებული აქვს თავისი ცხოვრება მიწის შემოშუშებით.“ ნამდელია, რომ ზაქათალის მაზრაში ხენა-თესვის მეტი არაფერი იციან სხვა ხელობა. მაშასადამე თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ინგილოები, რომელნიც ამ მაზრაში მცხოვრებ სხვა ხალხებზე მეტნი არიან თავის შრომით, მართლაც სხვებზე მდიდარნი უნდა იყვნენ, და კიდევაც არიან.

შეველია, რომ სიმდიდრე, სხვათა შორის, კაცის ბედნიერებას შეადგენს. მთვრთის მხრით სიღარიბე კაცის სულს აუძლიერებს, აკარგენებს პატიოსნებას, თავბრუს უხვევს, სინიდისს, მოყვასის შებრალებასა და პატივის მცემლობას უუქმებს კაცს გულში, სიმდიდრე კიდევ, მეორე მხრით, მას ასუფთავებს და აპატიოსნებს, აძლევს სახსარს კეთილად ყოფაცხოვრებისას და განათლებისას. ის ხალხი ვერაოდეს ვერ განათლებდა, რომელიც საწყალია. ის ხალხი კი, რომელიც მდიდარია, ჩქარა მოსძებნის სწავლას, რომელიც ძალა არის. სწავლა ძალა არის, ამბობენ მეცნიერნი. ასე იგი სწავლა კაცს აძლევს გამდიდრების და პატიოსნების ღონეს. ღარიბს კაცს მხოლოდ საქმელი ახსოვს, რადგანაც კუჭის მოთხოვნილება უფრო ძლიერია, ვიდრე ჰქუვანების მოთხოვნილება. შიმშილი კაცს გააბედნიერებს ხოლმე ყოველ გვარ საძაგლობას. შიზოლოლი ლუისის ამბობს: „შიმშილი კაცს მოჰგვრის საშინელ აზრს; ის მას ავიწყებს, ის უუქმებს კაცს შებრალებას, მოყვასის პატივის მცემლობასა და სინიდისსა, აქეზებს იმისთანა საქმეზე, რომელიც კაცს არ შეუძლიან უფროთაღვიდელად წარმოიდგინოს. შიმშილი კაცს ავიწყებს თავის კაცობას, და აძლევს უღრესობას იმის ხორტილის გრძნობას (ინსტინქტს); შიმშილი მრავალს აიძულებდა უწინდელს დროში შეეჭმა თავისი მოყვასი, — ცოლი, თავისი შვილები.“ მოგახსენებთ მაგალითს: როდესაც რომის იმპერატორი, ტიტუსი, გარემოვრტყა იერუსალიმს, მაშინ ქალაქში ებრაელნი ისე დამშევდნენ, რომ ერთმა დედაკაცმა შიმშილისაგან თავისი მშობლიური გრძნობა დაჰკარგა და დაკლა თავისი შვილი, მოხრავა და დაუწყო ჰამა, მოხრავულის სუნი იყნოსა რამდენამდე დამშევდნა ებრაელმა, როდესაც მის სახლის ახლოს გაიარა. ისინი შეუტყვიდნენ სახლში და ხორცი გამოაჩინეს. მაგრამ ვიდრე გამოაჩენდა, დედაკაცმა უთხრა: „მე ხორცი არა მაქვს, მე ჩემი შვილი დავკალი, მოვხრაკე და შევიკამე, — აი ეს ცოტაა დამჩა, ამა ესეც თქვენ მიირთვი.“ დამშევდნის შემფოთდნენ და თავი დაანებეს უღამიანო დედაკაცს. აი სიღარიბის ძალა, რომელიც ხმა მალა გვეუბნება, რომ ჩვენი ღარიბი ქართველები ყოველის ღონისძიებით უნდა ვცდილობდეთ ერთმანერთის გამდიდრებას, რადგან ჩვენი განათლებაც და ბედნიერი მდგომარეობაც აქედან წარმოსდგება.

ამ მოსაზრებას ყური რომ მიუდგოთ, მაშინ მათ საუფიქრლოდ მე ვიტყვი, რომ ქართველი ლეკები და მულალები ინგილოებზე უფრო ფიცის გამტეხნი და სინიდისის წინააღმდეგნი არიან. მსლავე ჩამოვითვლიდით ერთ ასამდე მაგალითს წლეულს ლეკებისაგან მოხდენილს, მაგრამ უადგილობა ნებას არ მაძლევს. მაგრამ ჩემი აზრი იმით უფრო კარგათ მართლდება, რომ ჩვენი დროების გამოძიებანი ამტკიცებენ, რომ თითქმის უმეტესი ნაწილი სახემწიფო დამნაშავეებისა, კანონის დამარღვევლებისა, არიან ღარიბნი ხალხნი. ლონდონის ქუჩებში ათასი ღარიბი დაიარება ღამით, რომ, რა არის, ქურდობით და მტაცებლობით იშოვოს სახსარი ცხოვრებისა. მთელი ქარელი ლეკები და მულალები ამგვარ ღარიბებს არ ეკუთვნენ, მაგრამ ხელობაკი ერთნაირი აქეთ ორივეს. შარელს ეზარება მუშაობა და ამისაგან პარვა — მცარცელობაში ატარებს თავის სიცოცხლეს. მას რომ ჰკითხო: „რატომ არ მუშაობ?“ ის გიპასუხებს: „მუშაობა რა ჩემი საქმეა. მესაიათები მყავს, ისინი მაცხოვრებენ.“ ჭურღობა, მტაცებლობა და ზარმაცობა მათ თავიანთ მამაპაპისაგან მიუღიათ, და დიდხანი გავა, რომ ისინი ხელს არ აიღებენ თავიანთ მამაპაპის ჩვეულებზე. ასეთი არ არის ინგილო? მის მამაპაპს ავაზაკობით არ უცხოვრნია და არც მისი შვილები არიან ავაზაკები. მართალია იმან ქურდობა იცის, მაგრამ ეს ყველას სწეულდება ამ მაზრაში მცხოვრებ ხალხებისა. ინგილოს მამაპაპს შრომით, ხენა-თესვით უცხოვრნია: და მისი შვილებიც ამ ხელობას თავს არ ანებებენ. ინგილო თავის თავს იცნობს. იმან კარგათ იცის, რა უნდა გააკეთოს და როგორ უნდა იცხოვროს. დღე-ღამე იმუშავენ, მოიგებს სულადს, ღვირვს და სხვანი, წლითი — წლობამდე იყოფიან ყველაფერს, და არავის ლუკმისათვის ხელში არ შეჰხდები. ბქაური საზოგადოება ანუ ხალხის აზრიც ამტკიცებს ინგილოების დიდს კომფორტით ცხოვრებას. ბამოკითხეთ ეს ჩემი ნათქვამი. ჰკითხეთ ყველს და თუ ეს აზრი გამტყუნონ. მე სამართალში მისაცემი ვიყო. მულალები და ლეკი შეჰნატრის ინგილოს პურს, ღვინოს და სხვა. მულალები ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე: „აჰ, ერთი ინგილოს ბური (პური) მაქვს!“. შარელი ლეკი, სამსახურის კაცი, რომ მოვა ან ქახის სანაბოში, ან არასუსისა, ან ალიაბათისაში, და ითხოვს სირაზე მიცემას, მაშინ თუ დაპირეს მის სირაზე თათრისათვის მიცემა, ის ყაბუღს არ გახდება და იტყვის: „რა მინდა მშვიერ მულალის სახლშია; თუ ინგილოს მიმცემთ წავალ, თუ არა და აქედან არ მოგშორდებით.“ რას ამტკიცებს ესა, თუ არა იმას, რომ ინგილო ცხოვრებით ლეკსაც და მულასაც სჯობია. მაშასადამე თუ ეს ასეა, მაშინ ინგილო ნიჭითაც ამ ხალხებს ორივეს უნდა სჯობდეს, თუ რომ რამდენიმე გავლენა აქვს კაცის ჰქუვანებაზე სიღარიბეს და სიმდიდრეს, იქნება ზოგი ერთმა გაკვირვებით სთქვას: როგორ შეიძლება, რომ ინგილო ნიჭით ქარელს სჯობდეს! ინგილო მისი ქვეშევრდომი ყოფილა და მას უჩაგრავს! ჩემის აზრით ამ თქმულებას არაფერი საუფიქრლო აქვს. ხალხი მაშინ დაიჩაგრება, როდესაც მას სრულებით თავისუფლება არა აქვს, როდესაც ისე ვერ მოქმედებს, როგორათაც თვითონა ჰსურს. ყოველის ფერში ხელფეხს შეკრულია. ასეთი იყო ინგილო თავის წარსულ ცხოვრებაში? წარმეული ჰქონდა მას თავისუფლება? სრულებითაც არა; ის იყო და არის მიწის მონა, და არა ქარელის ყმა. მთარა ჰსურდა მის მიწის მოხენა, მას ხელით არავინ იჭერდა; შეეძლო ხელი აეღო მიწისაგან და არ ემსახურნა მისთვის, თუ ქარელი შეაწუხებდა ინგილოს, ის შარელში, შილდაში, ბავაში და ქიზიყში მიხვედრებოდა, რადგან ილისოს სულთანს ქარელის შიშით და მას თავის მიწა-წყალში ვერ ასახ-

ლებდა. მთ ილისოს ლეკი შეაწუხებდა ინგილოს, მაშინ კიდევ ის ქარელის მიწა-წყალში სახლდებოდა. პირველად იმისათვის, რომ ამ უხვი ქვეყნისათვის მას თავის დანებება არა ჰსურდა; მეორეთ ამისათვის, რომ ქარელს, რადგან არ ეშინოდა ილისოს სულთანსა, მას ნებას აძლევდა დასახლებისას. ამ გადასახლებისა ქარელსაც და ილისოელსაც ეშინოდა და ხუთადეა თავის ნებას. ბევრნი არიან ეხლა შილდა-შარელში ქართველები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მათი მამაპაპა ზაქათალის მაზრიდან გასულა იქ, როგორათაც ბურჯისტანის ინგილოები; მაგალითებ: ალი-აბათელები, ზაგნელები, მოსულელები და სხვა. მსენი სულ აკილამ არიან გარყულნი შარის მიწაში. ამ შემთხვევაში ქარელებიც ხელს უმართავენ, როგორც ენახეთ ზემოთ. ამა აქედან საიდანა სჩანს, რომ ინგილოები დაჩაგრულნი ყოფილან. მე დაჩაგრულს იმ კაცს ვეძახი, რომელიც დამბლა გამხდარა და თავი მოხრილი მიწას დაჰყურებს, ათაჯერ რომ მოუგრიხოს კისერი, ერთხელ ხმას არ ამოიღებს. ასეთი იყო და არის ინგილო? სრულებითაც არა. მინც მას უბატოლ შეეცნობოდა, ის არაოდეს მას თავს არც უღრეკავდა, და არც უღრეკს. ასეთი ყოფილა ის წარსულ ცხოვრებაში, ასეთია მიმავალშიაც; ლეკი თუ მას შეაწუხებდა, ის ეუბნებოდა: „მე არავისი ყმა ვარ, შენ მიწაში ჩემს ნებით მოსულვარ, დამდგარვარ, ენავე, ვთესავ, შენც გაცხოვრებ, მეც ვცხოვრებ. მთუ შენ დღეს აღარ გინდოვარ, მე თავისუფალი ვარ, შენ შენთვის, მე ჩემთვის.“ ამ გვარი სიტყვებით ინგილო განშორდებოდა მემამულეს, და წავიდოდა, სხვა მემამულეს მიწაში ცხოვრებდა. ამით ყოფილან მხოლოდ ესენი დაწოკებულნი.

ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ მე ინგილოების გასამართლებლათ არაფერსა ვზოგადე; ტყუილს სიმართლეში ვურედე, და ისე ვაყრიდე ქარელ-ლეკებს და მულალებებს. სრულებითაც არა. მისაც ერთხელე განუზრახავს, რაფერი დაიჯეროს ინგილოებზე ნათქვამი. მე იმას რამდენიც გინდ ველაპარაკო საუფიქროდ და საბუთით, ის მაინც არ დაიჯერებს. მაგრამ ამ უჯეროს მე ვეტყვი, რომ როდესაც ეწერა, მაშინ ჩემთვის სულ ერთია: ქარელიც და ინგილოც. მე განმზრახავს, რომ წერის დროს ყოველთვის ჰქმარიც ვსთქვა, ერთი ჰქმარიც, და არა ტყუილი. შესინდისოა ის წერილი, რომ ლმაც იცის, მაგრამ თვისებს ეწევა და სიცრუეს ამბობს.

აი ამ ღვარი არის წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება. მეც ესა მქონდა სათქმელი ჩემს მოძმე ინგილოებზე; ვინც ამაზე მეტი იცის, აქვს რამე ისტორიული ფაქტი და გამოაცხადებს „დროებაში“, ძირელ კარგი იქმნება. მე ძლიერ მადლობელი ვიქმნები იმ კაცისაგან, რადგან ძირელ მსურს შევიტყო ისტორიული ცხოვრება ზაქათალის მაზრაში მცხოვრებ ქართველებისა, უფრო ამისათვის, რომ მეც ამათ ვეკუთვნი.

ინგილო.

1867 წელს,  
6 თებერვალს.

სხვა და სხვა ამბავი.

შალბი თმა — მაენებელის მკბენარის გამჩენი. პეტროვის პადემიის ასისტენტმა, ლინდებანმა დასწერა ერთი სტატია ამ გვარის სათაურით: „გრეგარინის მნიშვნელობა სიმრთელისათვის.“ აი ამა სტატიის შინაარსი. გრეგარინი არის მკბენარი ცხოველი, უმარტივესი ცხოველთა და ში. აგებულია ყველა ცხოველზე უმდაბლესია.

გრეგარინა სახით ბუშტის მსგავსია, იმას არა აქვს არც პირი, არც უკანგასავალი. ამ ბუშტს აქვს თხელი კანი და კანს შიგნით წვეწავი წერილობა მარცვლებიანი, რომელნიც შეადგენენ

გრეგარინის საზრდოსა. წვეწავი იმყოფება კიდევ ერთი პატარა ბუშტით, რომელსაც გრეგარინის გულსა. საიდგან კიდევ სხვა გრეგარინა? — ის დასცურავს წყალში, ან სხვა და სხვა გვარს წვეწავი, სადაც, იმყოფება გამდნარი ნივთიერება; თხელი გრეგარინის კანი შესივას გარემოში მდგარს წვეწავსა და წვეწავს გამდნარს ნივთიერებას, რომელიც არის საკმელი გრეგარინისა. ის იპოვება კაცის სხეულის ყველა ორგანოებში: გულში, ფილტვებში, ნაწლევეებში და სხვა. როცა ეს უნთქათ, ჰაერს ჩაჰყვება ფილტვებში, გარღვევს ფილტვის კანს და შევა სისხლში; ან შეგვევება საქმელში, გარღვევს ნაწლევეს და გადავა სისხლში, სადაც დასცურავს სისხლის ნაკადულში და ჰპოვებს თავის საზრდოსა. ამ შემთხვევაში სისხლი თვის ღენაში, ატარებს ამ ცხოველსა და გაჰყავს ყველა ორგანოებში. საზრდოს სიუფისაგან გრეგარინა იზრდება, მსხეილდება და ვეღარ გაეტევა წვეწავის სისხლის მასრებში, რომელსაც სწავლულნი ეძახიან ბეწვის მასრებსა. მაშინ გრეგარინა ჩაჯდება ორგანოში და მალე ისე იმრავლებს, რომ ბეწვის მასრებს პირს დაუცავს, სისხლს შეაგუბებს და ორგანო ვეღარ ირწყვება სისხლითა. ამისაგან ტანში ჩნდება სხვა-და-სხვა ავთამყოფობა: წყალმანკი, სულის შეგუბება და სხვა. მითოეული გრეგარინა იზრდება, იმისთვის მთელი იმისი გროვაც მსხეილდება, აფართოვებს სისხლის მასრებსა, ბოლოს გაჰგლეჯავს და ხორცში შევა. აქ გრეგარინები სდებენ კვერცხებსა და ახლად იწყებენ მრავლებასა. გრეგარინი იპოვება სხვა ცხოველების ტანშიაც: თევზში, ლოკოინაში, ჭიებში, ფრინველებში და სხვა ძუძუმწოვარს ცხოველებში. მაგრამ უფრო გასაძტერებელი კიდევ ის არის, რომ გრეგარინი ჩნდება კაცის თმაშიც. გრეგარინა რომ იმყოფება, იმ თმის ღერები კუნძებიანდია, ასე რომ უბრალო თვალთაც კი შეინიშნება. მს კუნძები ადვილათ სცილდება ხოლმე თმის ღერებსა და იმათგან პირსახოცზე ჟანგის ფერი წვირე დაჩრჩება. ლინდებანმა ნიჟინ-ნოვგოროდში ერთს პარიკმანერს გამოართვა ოცდა ათი სხვა და სხვა თმა, გასასინჯავათ, რომელიც შინიონების, კავების ნაწნავების და სხვა პარიკებისთვის იყო გამზადებული. მითქმის ყველაზე გრეგარინების გროვა ნახა. საიდგან ჩნდება გრეგარინა კაცის ტანში და რას ჩაჰყავს იქ ის? ლინდებანმა გამოიკვლია, რომ გრეგარინის გაჩენა და იმის კაცის ტანში ჩასვლა ქალების ბრალია. იმან ბევრგვარის ცდით დარწმუნდა, რომ გრეგარინა კიდევ რომ გააბნო, მაინც არა კვდება, ამისთვის ცხელი წყლით დამლუფრე იმას არას აენებსო. მთ ჰაერი ცოტათი მაინც გათბოა და თუ ამასთან ნესტიანი ამიდიც არის, გამხმარი გრეგარინა მაშინვე გაცოცხლდება და რამოდენისამე საათის განმავლობაში დასრულდება. ამ საუქმელით ლინდებანი აი რისგანო აბრალეს ქალებს გრეგარინის გაჩენას კაცის ტანში: წარმოიდგინეთ მზიარული ბალი, სადაც მიუცილებლათ ქალები დაესწრებიან ხოლმე, და იქ ჩვენ ვპოვებთ კარგს ჰავას გრეგარინის გასაცოცხლებლათ. რადგან დაკვირვებით გამოჩნდა, რომ ყალბ-თმაში იპოვება გრეგარინა, ამისთვის, ცხადია, ის უნდა იმყოფებოდეს ბალში მიწვეულის ქალების შინიონებშიც და სხვა ყალბ-თმებში. ხალხის სიზრავლისა გამო და ბევრის სახთლებისა გამო ჰაერი თბება, ამისთვის თვითონ კაცის ტანიც ბევრს წყალს გამოსცემს, (მაგ ოფლის-ღენით) რომელიც ორთქლათ იქცევა და ანთიოვებს ზალის ჰაერსა.

ამისთანა ჰავაში რაც თავის სკაულებში გრეგარინებია გაიღვიძებენ, იმათი შინიონი არსება დამწიფდება რამოდენსამე საათს, გარეთა კანი სქდება და მშობიერი თესლი გამოსცივია. ამ მშობიერს თესლს სწავლულნი უწოდებენ ასევე-ნაეიკულას, რომელიც



მდინათი მდინებია. ეს თესლი არის ძალიან პატარა, ცოტათი გაცილი და მაგარი კანი აქვს. ამის გამო ძალიან ადვილად ჩაჯდება კაცის ტანში, ან ჩავა პირიდან ნაწლავებში, ისე რომ არ დაიხსნება. თვითონ დედა-გრეგარინას კი ისეთი ნაწი კანი აქვს, რომ ადვილად მოიხარშება კუჭში და ტანში ევლარ გადადის. ამ სახით დედა გრეგარინიდან გამოცეცნილი მშობიერი თესლი იფანტება ჰაერში და დაჯდება საქმელებზე, რომელიც მასპინძელს მოაქვს სტუმრებთან, აგრეთვე შეიძლება, რომ გრეგარინა სუნთქვის დროსაც ჰაერს ჩაჰყვას ფილტვებში. ახლა ეს უნდა ავხსნათ, გრეგარინა საიდან ჩნდება კაცის თმში? უფ. ლინდემანმა გამოიძია და შეიტყო, რომლიდანაც პარიკები და შინიონები კეთდება, რომ უფრო ბევრი თმა მდებარეობს წარმოშობა. მოლგის ნაპირებზე რუსის გლეხები თმებით ვაჭრობენ. მაზაფხულზე რუსის გლეხი წავა სამუშაოთ და, რაც ტანსამოსი აცვია, იმას შემოდგომამდე გამოუტყელოდ ტანზე ატარებს. რასაკვირველია უწმინდურებისაგან იმას არ ასცილებდა საზოგადოთ ცნობილი მკენარი. სწავლულების განხილვით ამ კენარის ნაწლავებში ათასობით ირევა გრეგარინა. უფ. ლინდემანმა ბევრის ცდით და განხილვით დაამტკიცა, რომ პარიკებში გაჩენილი გრეგარინა მკენარის ნაწლავებიდან არის გამოსული. მაგრამ კაცის ტანში გადასვლელათ მიუტოვებლათ საჭიროა, რომ გრეგარინა და მწიფდეს და წამოშობოს მშობიერი თესლი. თვითონ გრეგარინა კი, რაკი მკენარის ნაწლავებიდან გამოვა, მაშინვე თმას მიეკრება და დარჩება ამ მდგომარეობაში, მინამ გასაზივრებელი ჰავა არ დაუდგება. ეს მოხდება მაშინ, როცა ქალები პარიკმანერისგან იყიდიან თმებსა და გაიკეთებენ. რომ ნასყიდს თმაში მკენარი არ ყოფილიყოს, რასაკვირველია, არც შინიონები იქნებოდნენ საშიშრონი. მკენარის გასაწვევტათ სიწმინდე და სიფაქრება საჭიროა; მაგრამ ამისთანა სიწმინდის შემოსვლა მდებარე წოდებაში ჯერ კიდევ დიდხანს არ იქნება; მაშასადამე უნდა მოიპოვოს შინიონები, ქალები რომ ამის თანახმა გახდებოდნენ. ან რა დიდი საქმე უნდა, შინიონების მოსაპოვებ; მით უფრო რომ შინიონი მოხდენის მაგიერად აუწნოვებს ქალის სახესა. ამ ყალბის თმების მოსაპოვებ ქალები დიდს სარგებლობას მისცემდნენ საზოგადოებას, რადგან დაუცავდნენ ბევრის მავნებელის ავთომყოფობისაგან. თუ შინიონების ხმარება არ გადავარდა, სხვა ფრიც კი არ შეიძლება, რომ კაცმა ყალბ-თმებს გრეგარინა გააცალოს, რადგან ის წამალი რომელიც გრეგარინას ჰკლავს, თვითონ თმსაც აფუჭებს.

—უზარმაზარი კვერცხები. პარიკის სამეცნიერო აკადემიამ მიიღო ამავე, რომ აფრიკის კუნძულზე—მადგასკარზე ნახესო ისეთი დიდი კვერცხები, რომ იმთვეარი არ გაგონილაო. ეს კვერცხები ერთ ფრინველისა, რომელიც აღარ ცხოვრებს დედამიწაზე. თითო კვერცხი სიგძით ოთხი მეტრი და ას ორმოცდა რვა ქათმის კვერცხის ოდენა. აკადემიის წევრმა შოლომ ნახა და გაიკნო ეს ძვირი ნივთი. ადგილის კაცები ამბობენ, რომ ფრინველი *epiornis* თავის სიცოცხლეში ერთხელ დადებდა ამისთანა კვერცხებსა და შემდეგ მოკვდებოდა. კვერცხები უნახავთ ქვიშაში ზღვის მახლობლად.

—საქონლის ჭირის წამალი. მრთი რუსეთის მემატონე სწერს შრანციის სამეურნეო მოლის საზოგადოების წევრს შემდეგს ბარათსა. „საჭიროთა ვრაც გაცნობათ, რომ ბევრი წამალი ვსცადე, მაგრამ არაფერმა ისე არ არგო ჭირიანს საქონელსა, როგორც ზღვის წყალმა. მინამ ჭირი იყო უბრალო წყლის მაგიერათ ვასმედი ზღვის წყალსა. რომელიცაც კი ზღვის წყალს ვასმედი, არც ერთი

ცხოველი არ მომკვდრა, თუმცა ისინი ნიდავ ავთ-მყოფს პირუტყვებში ეროდნენ. რასაკვირველია, ბუნებითი ზღვის წყალი ყოველგან არ იშოვება, მაგრამ ამის გაკეთება ადვილია, ეინც იცის, რა და რა ნივთიერება არის ზღვის წყალში გამდნარი. პირუტყვის ჭირი ამ ცოტა ხანში ძალიან გახშირდა, საზღვრებზე საქონლის გაშინჯვა სრულებით გამოუღვარი შეიქნა. ამისათვის საჭიროა, რომ ყურადღება მივაქციოთ იმ წამალს, რომელიც, თუ ვერ არჩენს, იცავს მაინცა ჭირისაგან.

—სოფ. ხიდის თავი. წასულს „დროების“ ნომერში სოფლის ამბებში მოცხადებულ ხიდისთავის შეკლის გამართვა, რომელზედაც ევლოდებით საკუთარ სტატკას. მანამდის მოვიტანთ რუსულის აქაურ გაზეთის „პავეზის“ № 91 დგან ამ შეკლის გახსნის ამბებსა. აგერ მესამე წელიწადია, რაც სოფელი ხოვლე ბედნიერ დღეთა დღესასწაულობს გიორგობისთვის 8-სა დიდის მთავრის მიხეილის დღეობასა, როდესაც გლეხებს განთავისუფლება გამოეცხადათ და თვით მართელობა მიეცათ.

ხოვლეს მიზანდა წრეულის სოფელმა ხიდისთავმა, რომელიც მორიდან 2 ვერსზეა. ამ სოფლის მცხოვრებლებმა მოისურვეს, რომ თავისი ყველა კაი დაწყობილება გიორგობისთვის 8-სა დაიწყებოდეს, რა დღესაც იმათი განახლების დღე იწყება; ამ დღეს გახსნეს შეკლა იქაურმა გლეხებმა, რომელთაც დიდი ხანია ამის სურვილი ჰქონდათ. ამ სოფლის ნაბატონარს დიმიტრი მოსტანტინეს ძემ მეღვინეთუტყვსაგან შეკლას და აგრეთვე სოფლის კანცელარიას სახლი დაუთმო. მღვინეებმა ამას გარდა 400 ქალაქური კოდი ხორბალი შეჰკრინეს პურის მალაზიისთვის.

დღესასწაულის გადასახდელათ სოფლის მამასახლისმა და მოსამართლეებმა მიიწვიეს გუბერნიის გლეხთა საქმის სასამართლოს წევრი დეისტეიტელნი სტატსკი სოვეტნიკი იოსებ მამაცაშვილი და ხიდისთავის ნაბატონარი ყველანი. ლაცვის გადახდით დაიწყო დღესასწაული შეკლის სახლში; 40 მოსწავლე ყმაწვილი იყო შეკრებილი და დაესწრა დიდალი ხალხი. ცოტა ხანს შემდეგ მამაცაშვილმა დაუბრუნა ყმაწვილებს სასწავლებელი წიგნები და აქ მყოფთა აუხსნა სწავლა რა სარგებლობას მოუტანს და არწმუნებდა, რომ მმართველობას შეეწიონ ხალხის სწავლისა და სიმდიდრის საქმეში.

—გაზეთში *Листокъ Объявленій* სწერენ, რომ ერთმა ღარიბმა ოჯახობამ ქრონშტატის სასოფლოოს საყდარში რიგის გადასახდელათ მოიტანა ცხენდარი. საყდარში წირვისა და რიგის გადახდის შემდეგ როგორა გგონიათ მღვდელი დასამარხავთ გაჰყვა? არა. მღვდელმა მიცვალეულის ნათესავებს უთხრა „მანამ სამანეთს არ მომცემთ არ გამოყვები ცხენდარს.“ მეტი ღონე არ იყო, ნათესავებმა ორი მანეთი ამოიღეს და რადგანაც მეტი არა ჰქონდა ერთიც ისე მოუფროვეს და მღვდელს მისცეს. მღვდელმა მიიღო, მაგრამ თითონ კი მაინც არ გაჰყვა და დიკენი გააყოლა დასამარხავთა.

—სომხური პირველ-დაწყებითი შეკლის გამართვა. ტფილისში. მღვდლის შევილისთვის ტიგრან საათნოვისთვის ნება მიუცათ, რომ ტფილისში პირველ-დაწყებითი შეკლა გამართოს და ასწავლოს სომხურ ენაზედ.

#### სახაზრო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 95)

ამ თვის 11 რიცხვში საქართველოს უწმინდესი და მმართველსი სინოდის პანტოროში მოხდება ტორგი, პერეტორკით 4 დღეს უკან, სადაც მსურველთა ნარდათ შეეკრებიან პირობით 1000 ფუთი წმინდა სანთლის მომზადებას ამ პანტორის სანთლის ქარხანაში.

ნისათვის 1868 წელში. ტორგი ჯერ პირათ მოლაპარაკებით იქნება. პერეტორკის დროს მსურველს ნება აქვს თავისი სურვილი დაბეჭდილი განცხადებით შეატყობინოს კანტორას. მისაც მსურს ტორგში ან პერეტორკის დროს დაესწროს, იმან უნდა წინადადოს თხოვნასთან წაადგინოს პანტოროში მანეთიან ქაღალდზე დაწერილი მოწმობა თავისი ვინაობაზედ და ეგრეთვე ზოლოდით. მაქრობის დროს დაბეჭდილი განცხადება დილის 12 საათამდინ უნდა წარსდგეს და მანეთიან ქაღალდზედ უნდა იყოს დაწერილი; ამ განცხადების ფორმა ნაჩვენებია სამოქალაქო სჯულის X. ტომ. 1 ნაწ. 1909 მუხლში და უთუთო ისე უნდა იყოს შედგენილი. დაბეჭდილი პაქტით არ მიიღებენ განცხადებას. პერეტორკის შემდეგ აღარაფერი მოლაპარაკება და პირობის დადება აღარ შეიწყნარება. ამ ტორგის შესახებ მსურველს შეუძლიან ყველაფერი დაწერილობით შეიტყოს თვითონ პანტორის კანცელარიაში დილის 9 საათამდინ 12 საათამდინ, საქმის დღეებში.

2) ზაქათალის სამხედრო ოკრუგის სამმართველოში ამ თვის 5 რიცხვში მოხდება ტორგები, პერეტორკით 3 დღის უკან, სასაზიო სამოვარი მინდვრებს და სახნავი მიწების იჯარით გასცემა 1868 წელში. ეს მამულები ზაქათალის სამხედრო ოკრუგში მდებარე, დაწერილობითი ცნობა ამ საგნის შესახებ მსურველს შეუძლიან შემოსხენებულს სამმართველოში შეიტყოს დილის 9 საათამდინ 2 საათამდინ შუადღის უკან.

3) ტფილისის ბუბერნიის სამმართველოში მომავალი წლის 29 იანვარს მოხდება ტორგი. შეესწოს სპილენძის სანდობი ქარხანის გასასყიდელათ. ეს ქარხანა მდებარეობს ბანჯის უბელში და ვალში იყიდება.

5) ქვესიის აქეთის პრიკაზის განკარგულებით მომავალი წლის 22 მარტს უნდა მოხდეს ტორგი ბორის უბელის სამსჯავროში შემდგომი გირათო შეტანილი მამულების გასასყიდელათ: 1) მანანა მრისთავის ასულისაგან 1851 წელს 3,000 მან. გირათო შეტანილი მამული, სოფელს მეკერხიხეში მდებარე. 2) ბარდაცვალეული ბიორგი ღვითის ძის მრისთავის მამულები სოფლებს: აბავატ, მამის, ქუტხაფოს, ტირს, აბალგარს, სათაფრას, ლომისას, იფნეს და ცხრა მას, მდებარე, — 1853 წელში პრიკაზიდან გამოტანილი 7050 მან. გირათო. 3) თ. ლევან იფნესძის ტიციანოვის მამული, სოფლებს: მარგოს, ბოსლეთს, ხეღურეთს და ღუესს მდებარე — 1859 წელში გამოტანილი 1770 მან. გირათო. 4) თავ. ზაზა და იოსებ პეტრეს ძეთ ავლიშვილებისა — მამული სოფელს ბრეთში მდებარე — 1859 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 4,500 მან. გირათო. 5) თავ. სუმბათოვის ცოლის მეთევანის მამული უკლმა — სოფელს მდებარე — 1862 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 1700 მან. გირათო. 6) თავ. იფან და ილია ღვითის ძეთ ტიციანოვის ვენახი სოფელს ხიდისთავს მდებარე — 1866 წელს გამოტანილი 1,600 მან. გირათო. მისაც ამ მამულების სყიდვა მსურთ, იმათ შეუძლიან შეიტყონ ფსი დაწერილობით შემოსხენებულს სამსჯავროში. ეს მამულები იმისთვის ისყიდება, რომ პატრონებმა გადახდარ შეიტანეს პრიკაზში შემოსხენებულის სესხების სარგებელი.

6) ამავე პრიკაზის განკარგულებით ტელავის და სიღნაღის უბელის სულში მოხდება ტორგი მომავალი 1868 წლის 18 მარტს თავ. ბიორგი თომას ძის ანდრონიკაშვილის მამულის გასასყიდელათ. ეს მამული მდებარეობს სიღნაღის უბელში სოფელს ლამბოლოში. ისყიდება ვალში, რადგან პატრონმა გადახდ არ შეიტანა 1852 წელი პრიკაზიდან გამოტანილი 3,250 მან. სარგებელი. მსურველს შეუძლიან შეიტყოს ამ მამულის ფსი შემოსხენებულს სამსჯავროში.

7) ამავე პრიკაზში მომავალი წლის 22 მარტს მოხდება ტორგი შემდგომი ტფილისის უბელის მემატონეების მამულების გასასყიდელათ: 1) თავ. მელიქიშვილების მამულები სოფელს. ლლთან — მოხლო და ძილსში მდებარე. ეს მამულები ისყიდებიან პრიკაზიდან გამოტანილი 15,000 მან. სესხში. 2) პრაპორშჩიკის თავ. ბიორგი რომანისძის ჩერქეზოვის მამული სოფელს თოხლიაურს მდებარე — 1855 წელს 37 წლობით პრიკაზიდან გამოტანილი 1200 მან. სესხში. 3) ტიტულიარნი სოვეტნიკის ბაბრეილის და მკურნალის მიხეილ იოსეს ძის სულხანოვის მამული სოფელს ბოლნის — ხაწინ და ბოლნის — კანაჯაში მდებარე — 1865 წელში პრიკაზიდან გამოტანილი 5,860 მან. სესხში. 4) ამავე სულხანოვის ვენახი და თუთის ბებნის ბაღები ამავე სოფლებში მდებარე, — 1856 წელში ორის წლობით გამოტანილი 6840 მან. სესხში. ეს მამულები იმისთვის ისყიდებიან, რომ პატრონებმა გადახდ არ შეიტანეს პრიკაზში შემოსხენებულის სესხების სარგებელი.

10) ამავე პრიკაზის განკარგულებით ტელავის და სიღნაღის უბელის სამსჯავროში შემდგომი ტელავის და სიღნაღის მემატონეების მამულების გასასყიდელათ: 1) შენერალ-მაიორის თავ. ღვით ალექსანდრეს ძის შავე-გეაძის მამულები სოფელს ზეგანში და მეტეხანში მდებარე — 1851 წელს გამოტანილი 18,500 მან. სესხში. 2) პოდპოლკოვნიკი თავ. ათანასე რომანოვის ძის შავე-გეაძის (აქ გარდაცვალებული) მამული სოფელს ბრეთში მდებარე — 1852 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 4,000 მან. სესხში. 3) თავ. ღვით და ბიორგი მესხიძეთა შავე-გეაძის მამული სოფელს იყალთოს მდებარე — 1856 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 3,000 მან. სესხში. 4) თავ. ანდრონიკაშვილის ცოლის ნინოს მამული, სოფელს ტარდახში მდებარე — 1863 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 7,000 მან. სესხში. 5) თავ. სიმონ სოლომონის ძის ჯანდეროვის ვენახი, სოფელს აბაშაში მდებარე — 1864 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 2,500 მან. სესხში. 6) თავ. ლუარსაბ ღვითის ძის ჯანდეროვის ვენახი სოფელს მელიქიხეს მდებარე — 1864 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 1,000 მან. სესხში. 7) თავ. დიმიტრი ღვითის ძის ჯანდეროვის მამული სოფელს აბაშაში მდებარე — 1864 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 1,500 მან. სესხში. 8) შენერალ-მაიორი თავ. ივან იოსების ძეს შალიკოვის მამულები სოფლებს შურჯანში, არამდარია და ზიარის ბოლოში მდებარე — 1865 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 6,300 მან. სესხში. 9) თავ. ზაქარია და ალექსანდრე მთარახისძის ჩოლაყშვილების მამულები სოფლებს: პონდოლოში და ქისისხეში მდებარე — 1866 წელს პრიკაზიდან გამოტანილი 5,000 მან. სესხში.

#### საბიზროგრაფიო ცნობა.

ბართული ანბანი და პირველი საბიზროგრაფიო ცნობა, მოსწავლეთათვის შედგენილი იაკობ ბოგებაშვილისგან. შასი ორი შაური.

ამბავი. კველის დროშის ხალხისა. ნაწილი პირველი. უფინდელი ინდოელები და ეგვიპტელები. რუსულიდან ნათარგმნი. შასი სამი შაური.

#### მეფხვის-ტყაოსანი

შასი ათი შაური.

გონგური. ნ. ბარათაშვილის, ილ. შავე-გაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი პ. ლორთქიფანიძისგან. შასი ერთი მანეთი.

თ. ბიორგი პრისთის თხუზულობანი, ავტორის პორტრეტით. ნაწილი პირველი. შასი ერთი მანეთი.

ნაწილი მეორე ფსი ერთი მანეთი.

სამართავლოს კალენდარი, შედგენილი ნ. ავლიშვილისგან. შასი ათი შაური.

ი ბ ე ჯ ბ ა.

ანბანის შემდგომი მოკლე საბიზროგრაფიო ცნობა, მოსწავლეთათვის, იაკობ ბოგებაშვილისა.

ტფილისში. მელიქიშვილის და კამპანიის სტამბაში; ბერეშტამის, ალადათოვის და მწვინჯიანის საწიგნო მაგაზინებში.

ქუთაისში: უფ. ბერ. ძალანდარიშვილთან და ხელთუფლიშვილის მაღაზიაში.

#### პარამოგოთი განცხადება.

ტფილისსა „დროების“ რედაქციაში და გალაგინის პროსპექტზედ, არწრუნის ქარვასლის წინ ნებეიროვის თამბაქოს მაღაზიაში ისყიდებიან შენეციაში მშენეიერი მომსხო ასოთი დაბეჭდილნი და სუფთად შეკრულნი ქართულნი წიგნნი.

მრთი დიდი ტომი სამლოა-წერილის ძეგლის და ახალის აღთქმათა მოთხრობა, რომელსაც აქუს 870 პირი, და ორიც ხატი, ფასი 2 მან.

მრცელი წმიდათა ცხოვრება; ერთითა მშენეიერი ხატითა. შასი — 1 მან. და 20. კაპ. ზნეობის სასწაული იეზოპის იგაფნი ყრმათა გასაწურთნავად. შასი 40 კაპ. ხოლო ამა სამთავე წიგნთა ერთად მყიდველს მიეცემა სამივე მანეთად.

ეს წიგნები სამივეს სუფთა შანი აქვს, რომელთაც ტფილისში სამ მანეთად ძლივს შეჰკერენ. ქუთაისში ისყიდება ამავე ფასად შუა ზაზარში პაველ მცხელის მაღაზიაში.